

საბანკო მომსახურების პირობების დანართი N14 – „MasterCard Contract ბარათის“ სტანდარტული პირობები

1. MasterCard Contract ბარათი (შემდგომში - ბარათი) არის პლასტიკური საბანკო ბარათი, რომლის ანგარიშზეც შესაძლებელია როგორც საკრედიტო ლიმიტის დაშვება, ასევე კლიენტის ფულადი სახსრების განთავსება.
2. ბარათით სარგებლობის საკომისიოები:

საკომისიოს დასახელება	საკომისიოს მოცულობა
ძირითადი/დამატებითი ბარათის ყოველწლიური საკომისიო:	0 ლარი.
ბარათზე საკრედიტო ლიმიტის დაშვების საკომისიო:	0 ლარი.
ადგილობრივ/საერთაშორისო სავაჭრო ობიექტებში გადახდის ოპერაციების საკომისიო (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში):	0%.
საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში განვადების ყოველთვიური შენატანის ჩამოჭრის საკომისიო:	4%.
გადარიცხვის საკომისიო:	კლიენტის ფულადი სახსრების ფარგლებში - ბანკში დადგენილი ტარიფების შესაბამისად; საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ლარში ემიტირებული ბარათების შემთხვევაში: - საკუთარ ანგარიშზე/საქართველოს ბანკში/საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ - გადარიცხული თანხის 3.9% მინ. 5.9 ლარი; საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში აშშ დოლარში ემიტირებული ბარათების შემთხვევაში: - საკუთარ ანგარიშზე/საქართველოს ბანკში/საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ - გადარიცხული თანხის 3.9%.
ბარათთან დაკავშირებული ანგარიშის მომსახურების საკომისიო:	0 ლარი.
საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში: ა) საქართველოს ბანკის სერვის-ცენტრში და ბანკომატში. ბ) ნებისმიერი სხვა ბანკის სერვის-ცენტრში და ბანკომატში.	ეროვნულ ვალუტაში: 1-20 ლარი - 1 ლარი. 20,01-40 ლარი - 2 ლარი. 40,01-60 ლარი - 3 ლარი. 60,01-80 ლარი - 4 ლარი. 80,01-100 ლარი - 5 ლარი. 100 ლარზე მეტი - თანხის 4%. აშშ დოლარში: 1-10 აშშ დოლარი - 0.5 აშშ დოლარი. 11-20 აშშ დოლარი - 1.0 აშშ დოლარი. 21-30 აშშ დოლარი - 1.5 აშშ დოლარი. 31-40 აშშ დოლარი - 2 აშშ დოლარი. 41-50 აშშ დოლარი - 2.5 აშშ დოლარი. 50 აშშ დოლარზე მეტი - თანხის 4%.
კლიენტის ფულადი სახსრების ფარგლებში თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში:	საქართველოს ბანკის ბანკომატსა და სერვის-ცენტრში და საქართველოს სხვა ბანკის ბანკომატში - 0%. საზღვარგარეთის ბანკის ბანკომატში - 2%.
თანხის განაღდების საკომისიო ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის შემდეგ:	ა) საქართველოს ბანკის/Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების სერვისცენტრში: საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში - 5.9% მინ. 7.9 ლარი; კლიენტის ფულადი სახსრების ფარგლებში - 0.6% მინ. 0.5 ლარი; ბ)საქართველოს ბანკის ბანკომატში: საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში - 3.9% მინ. 5.9 ლარი; კლიენტის ფულადი სახსრების ფარგლებში - 0.2% მინ. 0.2 ლარი; გ)Georgian Card-ის სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატში: საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში - 3.9% მინ. 5.9 ლარი; კლიენტის ფულადი სახსრების ფარგლებში - 0.5% მინ. 0.2 ლარი; დ)სხვა ბანკის სერვისცენტრში და ბანკომატში: საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში - 5.9% მინ. 4.9 აშშ დოლარი; კლიენტის ფულადი სახსრების ფარგლებში - 2% მინ. 3 აშშ დოლარი.

3. ბარათზე დაშვებული ოპერაციები:
 - თანხის განაღდება;
 - სავაჭრო ობიექტებში თანხის გადახდა;
 - თანხის ჩარიცხვა;
 - თანხის გადარიცხვა (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში);
 - თანხის შეტანა;
 - ინტერნეტ გადახდები.
4. დადებით ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი ს.ს. „პრივატბანკის“ ს.ს. „საქართველოს ბანკთან“ შერწყმიდან 60 დღის განმავლობაში:
 - საბარათე ანგარიშზე განთავსებულ ფულად სახსრებს ერიცხება სარგებელი შემდეგი პირობით:
 - 20 ერთულზე მეტი ნაშთის შემთხვევაში - წლიური 10%;
 - სარგებლის დარიცხვა ხდება ყოველდღიურ ნაშთზე, ხოლო კაპიტალიზაცია - ყოველი თვის ბოლო დღეს. სარგებელი ირიცხება საბარათე ანგარიშზე.
5. ბარათის მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიო:
 - თვეში - 2 ლარი.
6. საკრედიტო ლიმიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი:

ოპერაციის ტიპი	წლიური საპროცენტო განაკვეთი
განაღდების ოპერაციებით ათვისებული ლიმიტი:	20.4%;
გადახდის ოპერაციებით ათვისებული ლიმიტი:	20.4%;
სხვა დანარჩენი ოპერაციებით ათვისებული ლიმიტი:	20.4%;
გადახარჯული ლიმიტი:	20.4%.

7. საკრედიტო ლიმიტის დაფარვის გრაფიკი:
- საკრედიტო ლიმიტის დაფარვა ხდება ყოველთვიურად, დაანგარიშების დღეს დაფორმირებული ამონაწერის (ბილის) მიხედვით;
 - დავალიანების დაფარვა შესაძლებელია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ, მაგრამ სავალდებულოა მინიმალური გადასახადის დაფარვა გადახდის თარიღის ჩათვლით.
8. მინიმალური გადასახადი:
- სავალდებულო მინიმალური გადასახადი მოიცავს:
 - განაღდება და გადახდების ოპერაციებით ათვისებული კრედიტის ძირითადი თანხის 4%-ს;
 - წინა ამონაწერში (ბილში) გამოწერილი ძირითადი თანხის დაუფარავი ნაწილის 100%-ს და მასზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთს;
 - საკომისიო გადასახადების 100%-ს;
 - გადახარჯული თანხის 100%-ს (იმ შემთხვევაში თუ მოხდა კრედიტის გადახარჯვა);
 - საჯარიმო თანხის 100%-ს (იმ შემთხვევაში თუ ბოლო ამონაწერის (ბილის) გადაუხდელობის გამო კლიენტს დაერიცხა ჯარიმა).
9. მინიმალური გადასახადის შესახებ ინფორმაციის მიღება:
- ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
 - ინტერნეტ ბანკის (www.ibank.ge, www.eonline.ge) მეშვეობით;
 - ელექტრონულ ფოსტაზე ავტომატურად გაგზავნილი ინფორმაციით (იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სარეგისტრაციო მონაცემებში მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართი);
 - სატელეფონო ცენტრის მეშვეობით (სტანდარტული საიდენტიფიკაციო საფეხურების გავლის შემდეგ);
 - სერვისცენტრში (პირადობის მოწმობის და ბარათის წარდგენის საფუძველზე);
 - თვითმომსახურების ტერმინალის საშუალებით;
 - Mobile Bank-ის საშუალებით.
10. მინიმალური გადასახადის ან სრული დავალიანების დაფარვა:
- დავალიანების დაფარვა შესაძლებელია:
 - ინტერნეტ-ბანკისა (www.ibank.ge, www.eonline.ge) და Mobile Bank-ის მეშვეობით (საკუთარ ანგარიშებს შორის გადარიცხვის მეშვეობით);
 - სერვის-ცენტრში (პირადობის დამადასტურებელი მოწმობის და ბარათის წარდგენის საფუძველზე);
 - სხვა კომერციული ბანკიდან თანხის ჩარიცხვის გზით (სტანდარტული საგადასახადო დავალების გამოყენებით);
 - საკრედიტო ბარათის მინიმალური გადასახადის ავტომატური გადახდის სერვისის მეშვეობით;
 - თვითმომსახურების ტერმინალების საშუალებით.
11. თანხის შეტანისას დაფარვის თანმიმდევრობა:
- საკრედიტო ლიმიტის დაფარვა განისაზღვრება შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ჯარიმები, საურავები, სხვა ვადაგადაცილებული საკომისიოები;
 - საპროცენტო დავალიანება;
 - ვადაგადაცილებული კრედიტი.
12. საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული თარიღები:
- მინიმალური გადასახადის დაანგარიშების (ბილინგის) თარიღი განისაზღვრება ბანკში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
13. მინიმალური გადასახადის გადახდის თარიღი:
- დაანგარიშების თარიღის შემდგომ 25-ე დღე, იმ შემთხვევაში თუ გადახდის თარიღი არასამუშაო დღეა, მინიმალური გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღის დასრულებამდე;
 - დავალიანების დაფარვა შესაძლებელია დავალიანების წარმოშობის დღიდან, მაგრამ სავალდებულოა გადახდის თარიღის ჩათვლით;
 - საშუალო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დარიცხული პროცენტი გადახდას აღარ ექვემდებარება მოიცავს მაქსიმუმ 55 დღეს;
 - დარიცხული საპროცენტო განაკვეთის გადახდა არ მოითხოვება, თუ ბარათის მფლობელი გადახდის თარიღის ჩათვლით სრულად დაფარავს დავალიანებას;
 - საშუალო პერიოდი ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ გააჩნია ვადაგადაცილებული დავალიანება ბარათზე.
14. საჯარიმო სანქციები:
- ბარათზე საჯარიმო პერიოდის ათვლა წარმოებს გადახდის თარიღის ვადაგადაცილების პირველი დღიდან და ხდება ბარათზე არსებული საკრედიტო ლიმიტის ბლოკირება. ბარათზე არსებული დავალიანების 61 დღეში სრულად დაფარვის შემთხვევაში მოხდება ბარათზე არსებული საკრედიტო ლიმიტის ხელახალი გააქტიურება;
 - გადახდის თარიღისათვის მინიმალური გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმა შეადგენს:
 - 10 ერთეულს (საკრედიტო ლიმიტის ვალუტის შესაბამისად) ერთჯერადად;
 - ვადაგადაცილებული დავალიანების 1.5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
 - ბარათის გაუქმება ხდება გადახდის თარიღიდან 62-ე დღეს, თუ ამ თარიღამდე არ მოხდება ვადაგადაცილებული დავალიანების სრულად დაფარვა. ბარათის გაუქმების შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვალდებულია დაფაროს მთლიანი დავალიანება (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის ძირითადი თანხა);
 - ჯარიმა ბარათის გაუქმების შემთხვევაში შეადგენს:
 - 100 ერთეულს (საკრედიტო ლიმიტის ვალუტის შესაბამისად);
 - დავალიანების 5%-ს;
 - ბანკის მიერ საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გრძელდება საკრედიტო ბარათის გაუქმების შემდეგაც:
 - ვადაგადაცილებულ დავალიანებას (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის ძირითად თანხას) ერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური 20.4%-ის ოდენობით;
 - ვადაგადაცილებულ დავალიანებას (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის ძირითად თანხას) ჯარიმის სახით ერიცხება 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
15. ბარათის მოქმედების პერიოდში, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს ბარათის პირობები (მათ შორის საკრედიტო ლიმიტის მოცულობა, საკომისიოს ოდენობა და ა.შ.).
16. წინამდებარე სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ურთიერთობის ფარგლებში, მხარეთა შორის კომუნიკაცია განხორციელდება საბანკო მომსახურების პირობებით განსაზღვრული კომუნიკაციის წესების შესაბამისად.